

ანტიკური ლიტერატურა

სატირიზებული ფილოსოფიური იდეები არისტოფანეს „ღრუბლებში”

ვერა წერეთელი

tsereteli.vera@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.08>

არისტოფანეს „ღრუბლების” მთავარი შტრიხია სერიოზული ფილოსოფიური იდეების გამარჯება. არისტოფანე ცდილობს, აბსურდულად მოგვაჩენოს სოფისტური აზროვნება და გამოიწვიოს კომიკური ეფექტი. მთავარი პრობლემა ისაა, რომ კომედიის პერსონაჟებს არ აქვთ საკმარისი ფილოსოფიური განათლება, რაც ვლინდება მათ ვითომ არგუმენტირებულ, ძალად ფილოსოფიურ მსჯელობებში და მკითხველი რწმუნდება, რამდენად სასაცილოა ადამიანი, რომელიც სერიოზულოად საუბრობს იმ საკითხებზე, რომელთა არსი სათანადოდ ვერ გაუაზრებია.

საკვანძო სიტყვები: ანტიკური კომედია, არისტოფანე, „ღრუბლები” ფილოსოფია, სატირა.

არისტოფანე სოკრატეს მიაწერს სხვადასხვა სამეცნიერო თეორიას, რომლებიც ჩვენთვის სიცილის მომგვრელია, თუმცა ზოგ მათგანს ანტიკურ ეპოქაში რეალურად ჰყავდა მხარდამჭერები ათენელთა შორის. ფაქტობრივად, ეს ის პერიოდი იყო, როცა ათენი მოიცვა მეცნიერულმა თეორიებმა. მიუხედავად იმისა, რომ იონიელმა ფილოსოფოსებმა ერთი საუკუნით ადრე დაიწყეს ბუნების შემსწავლელი თეორიების შექმნა, ათენში ძვ. წ. V საუკუნეში იწყება ინტერესი ამ თეორიების მიმართ. ეს ის პერიოდია, როცა ათენში მცირე აზიიდან ჩამოვიდა ანაქსაგორასი, რომელსაც, სავარაუდოდ, შესწავლილი ჰქონდა იონიელი ფილოსოფოსების თეორიები. იგი ათენში დასახლდა და პერიკლესის მეგობარი გახდა. მან შექმნა ბუნების შემსწავლელი სრულყოფილი ფილოსოფიური თეორიები. მაგალითად, ანაქსაგორასი ამზობდა, რომ მზე, მთვარე, ვარსკვლავები არის ქვები, მაგრამ ისინი იმიტომ ანათებს, რომ ცხელია. მანვე განმარტა მრავალი სტიქიური მოვლენის არსი, როგორიცაა: მიწისძვრა, ქარიშხალი, ჭექა-ქუხილი, ქარი (წიგნში: დიოგ. ლაერტ. 2.9).

3. წერეთელი

ფილოსოფოსის აზრით, ჭექა–ქუხილს იწვევს ღრუბლების შეჯახება. სწორედ ამ მოსაზრებას აშარქებს არისტოფანე, რომელიც სოკრატეს მიაწერს ამ იდეას, მაგრამ ღრუბლების შეჯახება, რომელსაც ნაზი სიო იწვევს, მისი აზრით, არის ჭექა–ქუხილის ანაქსაგორასეული ახსნა–განმარტების მოკლე შეჯამება.

შემდგომი მეცნიერი, რომლის თეორიასაც იყენებს არისტოფანე თავის კომედიისათვის „ღრუბლები”, არის ჰიპონ რეგიელი, იონიელ ფილოსოფოსთა სკოლის წარმომადგენელი, რომელიც ფიქრობდა, რომ ყველაფერი შეიქმნა ქარისა და ცეცხლისაგან (არისტ. ღრუბ. 95–97).

არისტოფანეს კომედიაში სატირიზებული მეცნიერული იდეების მთავარი წყარო, ალბათ, იყო დიოგენეს აპოლონიელი, ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც მოღვაწეობდა ძვ. წ. V საუკუნეში. მან შექმნა თეორიები, რომლებშიც გაერთიანებული იყო სხვადასხვა ფილოსოფოსთა მოსაზრებები, როგორებიც იყვნენ: ანაქსიმენესი, ჰერაკლიტოს ეფესელი, ანაქსაგორასი, ლევკიპოსი.

დიოგენესის ყველაზე ცნობილი თეზაა ჰაერისა და აზროვნების ერთმანეთთან დაკავშირება. როგორც ვიცით, როცა ადამიანი სუნთქვას წყვეტს, სიცოცხლეც სრულდება, მაგრამ, დიოგენესი ამბობდა, რომ როცა სუნთქვა წყდება, აზროვნებაც ჩერდება.

დაახლოებით მსგავს თეორიას ავითარებს თეოფრასტოსი, როცა ამბობს, რომ ადამიანი აზროვნებს სუფთა და მშრალი ჰაერის მეშვეობით, რადგანაც ტენიანობა აფერხებს აზროვნებას. სწორედ ამის გამოა, რომ ადამიანი ძილში უფრო ნაკლებს ფიქრობს, ასევე მაშინ, როცა ნასვამია, ან კარგად დანაყრებული. ადამიანი სწორედ იმიტომაა ცხოველებზე უფრო გონიერი, რომ ცხოველები უფრო ახლოს არიან მიწასთან და ნესტიან ჰაერს შეისუნთქავენ. ასევე, ისინი უფრო ნესტიან საჭმელს ჭამენ (თეოფრ. აღთქ. შეს. 44).

ეს მოსაზრება ძალიან ჰავას კომედია „ღრუბლებში“ 227–233 სტრიქონებში მოყვანილ აზრებს, როცა სოკრატე ჰაერშია და მიწას მოშორებული, თუმცა, აյ აზრები არაა იდენტური: სოკრატე ფიქრობს, რომ აზრების „ტენიანობა“ მიიზიდება დედამიწის მიერ, ხოლო დიოგენე კი, თეოფრასტოსის ცნობით, დედამიწის ტენიანობას მიიჩნევდა გონებისთვის საზიანოდ. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ორივე მათგანი ერთი და იმავე თეორიის ვერსიებია.

ნათელია, რომ „საფიქრელეთის“ მეცნიერული დოქტრინები არაა წმინდად არისტოფანეს კომიკური გამოგონება. ისინი მოიცავს, თუმცა დამახინჯებული ფორმით, იმ თეორიებს, რომლებიც მიეწერება ანაქსაგორასს, ჰიპონს, ან დიოგენესს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2025, N1(25)

როცა კომედიის მთავარი გმირი, სტრეფსიადესი, ე.წ. საფიქრელეთში შედის, ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს გამოქვაბულში შევიდა. როცა იგი იწყებს განათლების მიღებას, მისი უგუნურება და უნიჭობა აღიზიანებს სოკრატეს. პირველი გაკვეთილი არის გრამატიკისა და სალექსო მეტრის შესახებ, რომელიც არის რიტორიკის შესავალი გაკვეთილი. შემდგომ სოკრატესი, ფსიქიატრის მსგავსად, სთხოვს სტრეფსიადესს, სავარძელში კარგად მოეწყოს და პრობლემების შესახებ იფიქროს.

სტრეფსიადესის ფიქრები ვულგარული და აბსურდულია. როგორც ჩანს, ვერაფერს იმახსოვრებს, რასაც ასწავლიან. ამდენად, სოკრატე უარს ამბობს, მას ასწავლოს რაიმე. სტრეფსიადესი სთხოვს ისევ თავის ვაჟს, რომ მივიდეს სოკრატესთან და შეისწავლოს სოფისტური მოძღვრება. ამჯერად, ის მოახერხებს ვაჟის დაყოლიებას. ფიდოსი მართლაც კარგი სტუდენტი ადმოჩნდება და სოკრატესის მოძღვრებას კარგად შეითვისებს (დაწვრ. იხ. Saxonhouse 2023, 14).

„ღრუბლებში“ არისტოფანე ყურადღებას უთმობს სამეცნიერო საგნებს, როგორიცაა: ასტრონომია, მეტეოროლოგია, ბუნებისმეტყველება და სხვა.

„ღრუბლებში“ სოკრატე არის „საფიქრელეთის“ ხელმძღვანელი. იქ განათლების მიღება შეუძლია ყველას, ვინც თანხას გადაიხდის. ის არის ექსპერტი რიტორიკაში, ადამიანებს ასწავლის საკუთარი არგუმენტების დამაჯერებლად წარმოდგენას.

სოკრატეს კარგად იცნობდა მაშინდელი ათენის საზოგადოება და სწორედ ამიტომ აირჩია არისტოფანემ სოკრატესი და განაზოგადა მისი სახე, როგორც, ზოგადად, სწავლული ადამიანის და მას მიაწერა იმ დროს გავრცელებული ყველა თეორია. არისტოფანესთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ მის მიერ დასახელებული თეორიები არა სოკრატესს, არამედ, სხვა ფილოსოფოსებს მიეკუთვნებოდა. ვფიქრობთ, სოკრატესის სახეში არ უნდა ვიგულისხმოთ თვით სოკრატესი - ეს უნდა იყოს სოფისტის განზოგადოებული სახე (Hunter 2004, 43–97).

კომედიაში წარმოდგენილი მრავალი თეორია თავად არისტოფანეს შეთხზული უნდა იყოს, რადგანაც მას სურდა ამ კომედიას მიეღო „ფილოსოფიური დოკუმენტის“ სახე (Waterfield 2000, 243).

დიოგენეს ლაერტიოსის ცნობით, სოკრატეს არ ჰქონია საკუთარი სკოლა და არც თანხას ახდევინებდა მოსწავლეებს, მაგრამ სოკრატესი საგანმანათლებლო მაღვაწეობას ნამდვილად ეწეოდა. მის ირგვლივ ყოველთვის იკრიბებოდნენ მისი მიმდევრები, რომლებიც თანხის ნაცვლად მას საჩუქრებს უძღვნიდნენ და საკვებითა და სასმელით უმასპინძლდებოდნენ. შესაბამისად, მატერიალური ინტერესი მაინც იყო, ალბათ, სოკრატეს მხრიდან (დიოგ. ლაერტ. 2.74).

3. წერეთელი

სხვა სოფისტებისაგან განსხვავებით, სოკრატეს სწავლების მეთოდები შემდეგნაირი იყო: ის არ კითხულობდა დამღლელ ლექციებს; დასვამდა შეკითხვას და შემდეგ აუდიტორის მხრიდან გაცემულ პასუხებს აკრიტიკებდა. არისტოფანე სწორედ ამ ხერხს აშარჟებს თავის კომედიაში. სოკრატესი სტრეფსიადესს უსვამს შეკითხვებს, მაგრამ ეს უკანასკნელი ისეთ უაზრო პასუხებს სცემს, რომ სოკრატეს უჭირს რაიმე ანალიზი გაუკეთოს, ან შეაფასოს მისი პასუხები (Benson 1992, 1–18).

„ღრუბლების“ მთავარი თემა არის რიტორიკული უნარ–ჩვევების გამოყენებასაყოფაცხოვრებოდანიშნულებით. სტრეფსიადესისმაგალითზე არისტოფანე გვაცნობს სოფისტებს, მათ თეორიებსა და სტუდენტებს. ფიდიპოსის დახმარებით, სტრეფსიადესს იმედები გაუმართლდება. ჩვენ ვხედავთ სოფისტური განათლების შედეგს და რიტორიკის პრაქტიკული გამოყენების მაგალითებს. სოფისტების სკოლაგამოვლილი მამა უკვე შეძლებს შვილის დაყოლიებას და სოკრატეს მიუყვანს ფიდიპოს. სტრეფსიადესი უტოვებს სოკრატესს ვაჟს და ეუბნება: „ცემე და ასწავლე! გახსოვდეს, როგორმე/ისე გამოზარდე, ცალი ყბით საქმეს რომ მიადგეს, / მეორე ყბაც აუთამაშდეს/ უფრო სერიოზული საქმის საკეთებლად (არისტ. ღრუბ. 1107-1110).“

როცა მამა მოაკითხავს ფიდიპოსს, სოკრატეს გადასცემს ტომარას, სწავლის საფასურით. ვაჟი გაფითრებული და ნირწამხდარი გამოდის სახლიდან სოკრატესის თანხლებით. მამა ეუბნება: „გაღმა შედავების ოსტატის მზერა გაქვს“ (არისტ. ღრუბ. 1176) და ძალიან მოსწონს შვილის გაყვითლებული სახე.

სტრეფსიადესმა თავად ვერ მოახერხა, აეთვისებინა ლოგიკური აზროვნების ელემენტები, ახლა კი, მისი შვილის მიერ მშვენივრად იქნა დაძლეული ეს პროგრამა. მამისაგან განსხვავებით, ფიდიპოსი კარგად დაეუფლა სოფისტური აზროვნების მეთოდებსა და ხერხებს.

არისტოფანე ერთმანეთს უპირიპირებს სოკრატეს ინტელექტუალურ აბსტრაქციასა და ჩვეულებრივი ადამიანის მიწიერ სურვილებს სტრეფსიადესის მაგალითზე, რომელიც შეეჯახება „საფიქრელეთის“ ფილოსოფიურ შეზღუდვებს. ფიდიპოსი სოფისტურ მოძღვრებასა და რიტორიკას გამოცდის რეალურ სამყაროში, სოფისტური სკოლის გარეთ. ინტერაქცია მიმდინარეობს არა მოსწავლესა და სტუდენტს, არამედ სოფისტ მოსაუბრესა და აუდიტორიას შორის. სოკრატესი გაუჩინარდება და აღარ ჩანს კომედიის ბოლომდე. სოფისტებს ჰყავთ ახალი წარმომადგენელი - კომიკური პერსონაჟის ტიპი, რომელიც არც ფილოსოფოსია და არც სოკრატეს შეხედულებებს იზიარებს.

ფიდიპოსი იმდენადვე შორს დგას აუდიტორიისგან, რამდენადაც

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2025, N1(25)

სტრეფსიადესისგან. მისი პირველი რიტორიკული გამოსვლისთანავე ვხვდებით, თუ რამდენად უგუნურია ის. სტრეფსიადესის თავდაჯერებულობა აღდგენილია. იგი გახარებულია, ფიქრობს, რომ ფიდიპოსის ახალად ნასწავლი მახვილისიტყვაობა დაეხმარება მევალეების მოგერიებაში. სტრეფსიადესი დარწმუნებულია, რომ ფიდიპოსი მოახერხებს, დაარღვიოს მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე და თანამოქალაქეებს „მუნჯ მხეცებად” გადააქცევს (არისტ. ღრუბ. 1203) - ახალ ორატორთან შედარებით, დაარჩენი ათენელების საუბარი ცხოველის მეტყველების ტოლფასი იქნება.

აგონში ვხედავთ სოფისტური მოძღვრების ტექნიკასა და სოფისტური რიტორიკის სავარაუდო შედეგებს. დემოკრატიულ ათენში, თვით დემოკრატია, რომელიც დაფუძნებულია სიტყვის ძალასა და საჯარო დებატების არსებობაზე, ხშირად გამხდარა სიცრუისა და სიყალბის ასპარეზი (Hunter 2004, 34). თუმცა, სტრეფსიადესი მალე მიხვდება, რომ ასეთი მეტყველება აუდიტორიას არა მხოლოდ დაამუნჯებს, არამედ დააყრუებს კიდევ და მის მიერ უხვად დაჯილდოებულ სოკრატესთან გარბის. ახლა უკვე მამა შვილს მიმართავს: „ცხენოსნობაზე იფიქრე; ის მირჩევნია ისევ, ცხენებმა გამაღატავოს, ვიდრე აქ შვილმა მცემოს” (არისტ. ღრუბ. 1406-1407).

სტრეფსიადეს სცემს მისი ვაჟი და მამა ხსნის ცემის ერთ-ერთ მიზეზს: პოეტ სიმონიდესზე შვილს უთქვამს, რა პოეტი ეგ არის, ესქილეა პირველი პოეტიო (არისტ. ღრუბ. 1362). შვილი ევრიპიდეს თვლიდა ყველაზე ბრძენ კაცად. მამა არ დაეთანხმა და ამაზე ჩხუბი დაიწყეს.

სტრეფსიადესი თავის თავს უტყდება, რომ ამ ყველაფრით უფრო გაიუარესა მდგომარეობა, ვიდრე გაიუმჯობესა და ამბობს: „სულ დავიღუპე, მგონი” (არისტ. ღრუბ. 1440). თუ ადრე იმედს ამყარებდა სოფისტებზე, ახლა მიხვდა, რომ დაღუპა შვილიც და დაიღუპა თავიც. სტრეფსიადესი მზადაა, სასტიკად გაუსწორდეს სოკრატესსა და მის ყველა მოსწავლეს. ბოლოს, სტრეფსიადესი სახლს გადაუწვავს სოკრატესს.

ფიდიპოსი კმაყოფილია სოკრატეს მასწავლებლობით. ის ამბობს: „აქამდე ცხენოსნობაზე თუ მიდგებოდა გული, / სიტყვას ისე ვერ ვიტყოდი, არ შევმცდარიყავ სადმე” (არისტ. ღრუბ. 1401-1402).

როგორც ვნახეთ, სოფისტურმა განათლებამ გაანადგურა მამაშვილური დამოკიდებულება და დაგვარწმუნა იმაში, რომ ფიდიპოსის განათლება ვერაფერ სარგებელს მოუტანს მამას. სტრეფსიადესი შეცდომას უშვებს, როცა ცდილობს, თავის ვაჟში დამჯერი შვილისა და გამოცდილი სოფისტის არსი გააერთიანოს. სოფისტური რიტორიკა არ არის ის, რაც, შესაძლოა, ტრადიციულ ჩარჩოებში მოექცეს.

სტრეფსიადესი ცდილობს, გამოიყენოს სოფისტებთან მიღებული ცოდნა,

3. წერეთელი

ხოლო არისტოფანე ცდილობს, დასცინოს სოფისტურ მოძღვრებას და აჩვენოს, თუ რა სასაცილოა კომიკური და სოფისტი ადამიანის ერთ არსებაში მოქცევა (Lewis 2020, 45).

სტრეფსიადესს სულაც არ რცხვენია იმის გამო, რომ მარცხი განიცადა სოკრატესეულიგანათლებისმიღებისას. სანამ „საფიქრელეთში“ შევიდოდა, უწევდა მისეული სიტყვებით მოეგვარებინა საქმე მევალეებთან, ახლა კი, თან აქვს სოფისტური აზროვნება და დიდი იმედი საკუთარ შვილის სახით.

ჩვენ კი ვხედავთ, რომ სტრეფსიადესის მსჯელობა არადამაჯერებელი და არალოგიკურია. ის მხოლოდ სიცილს იწვევს მაყურებელში. სტრეფსიადესი ცდილობს, მევალეები სიტყვით მოიგერიოს, მაგრამ მას არ ჰყოფნის მიღებული განათლება (Teilo 2020, 82-84).

სტრეფსიადესის მევალეებთან შეხვედრის სცენებმა დაანგრია სოფისტური თვალთმაქცობის ძალაზე წარმოდგენები და აჩვენა სიტყვის უუნარობა ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებაში, ანუ პრაქტიკული მიზნებით გამოყენებისათვის. ხალხი, რომელსაც პირადი ინტერესი ამოძრავებს, არ უსმენს ამ მოძღვრებას. იგი დარწმუნებულია საკუთარ სიმართლეში, ამიტომ ვერ ხერხდება მათი გადაბირება სოფისტური თვალთმაქცობით. ეს სტრეფსიადესის პრობლემა კი არ არის, არამედ მისი თანამოსაუბრების. მევალეები მზად არ არიან დებატებისათვის, მათ საერთოდ არ აინტერესებთ, რას იტყვის სტრეფსიადესი. მათთვის მთავარია, თანხა მიიღონ. სტრეფსიადესის მაგალითზე ვრწმუნდებით, რომ ხშირად სიტყვას ძალა არა აქვს, ფილოსოფიურ მსჯელობას - აზრი.

ამგვარად, არისტოფანეს კომედია „ღრუბლები“ სატირიზებული სახით გვთავაზობს ფილოსოფიურ იდეებს, რაც იწვევს მკითხველის გამხიარულებას და სიცილს. არგუმენტების დამაჯერებლად წარმოსადგენად სოფისტური აზროვნება იქცევა არისტოფანეს კომედიის პერსონაჟების მთავარ იარაღად, თუმცა, არასაკმარისი განათლება კურიოზულ სიტუაციაში აგდებს მათ. ეს იწვევს კომიკურ ეფექტს და, შეიძლება ითქვას, რომ ამ კომედიის მაკომრდინებელი შტრიხი ხდება ფილოსოფიური იდეების დამახინჯებული ფორმით გამოყენება და გაშარება არისტოფანეს უკვდავი სატირის საშუალებით.

ლიტერატურა

- არისტოფანე. 2004. ღრუბლები. თარგმანი ეკუთვნის ბერძენიშვილი. "ლოგოსი". თბილისი.
- Aristophanes. 1924. *The Clouds, The Wasps, The Peace, the Birds, the Frogs, with an English translation by B.B. Rogers.* 1968, 437.
- Benson, H. H. 1992. *Essays on the Philosophy of Socrates*. New York: Oxford University press.
- Hunter, R. 2004. *Plato's Symposium*. London: Oxford University Press.
- Lewis, Amy, S. 2020. *Aristophanes and the Poetics of Low comedy*. University of Pennsylvania
- Saxonhouse, A. 2023. *The Comedy of Crowds: Aristophanes and the Voice of the People—or the Poet*. Cambridge University Press.
- Telo, M. 2020. *A theory of Greek Tragedy*. Ohio State UP.
- Waterfield, R. 2000. *The First Philosophers: The Presocratics and Sophists*. Oxford: Oxford University Press.

Classics

Satirized Philosophical Ideas in Aristophanes 'Clouds'

Vera Tsereteli

tsereteli.vera@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.08>

The main feature of Aristophanes' 'Clouds' is to deride serious philosophical issues. Aristophanes tries to use certain ways through which he manages to make us consider sophistic thinking as an absurd and create a comic effect. The main issue is that the characters of the comedy do not have the complete education in philosophy that is quite visible in their 'argumentative' conversations and the reader makes sure that a person is very hilarious when speaking about the issues which he hasn't realized properly.

Keywords: ancient comedy, Aristophanes, 'Clouds', philosophical, satire.

Aristophanes attributes to Socrates a lot of scientific ideas, which make us laugh, however most of them were not unreal for Athenians. In fact, this was

3. წერეთელი

the period, when Athens was interested in scientific theories. However, a century ago Ionian philosophers started creating scientific theories, in Athens these theories arouse interest in the fifth century B.C. This was the time when Anaxagoras arrived in Athens. He came from Asia Minor. He had studied theories of Ionian philosophers. He settled in Athens and became a friend of Pericles. He created thorough scientific theories. For instance, he said that the sun, the moon and the stars are stones but they shine because they are hot. He explained the concept of a lot of disasters, such as earthquake, hurricane, thunderstorm, wind etc. According to him thunder is caused by the collision of the clouds which is due to a subtle breeze.

The main source of Aristophanes satirized scientific theories was Diogenes from Apollonia. He created his ideas in the fifth century B.C. which was a mixture of different thinkers' thoughts, such as Anaximenes, Heraclitos, Anaxagoras, Leucipos. The most famous opinion of Diogenes is to combine the air with the thought. As we know, as we stop breathing, we stop living. However, Diogenes thought: when we stop breathing, we stop thinking.

Theohprastos has almost the same idea. He said that a person thinks via fresh and dry air as humidity hinders the process of thinking. That is why a person thinks less while sleeping or when well-nourished or drunk. That is the reason why a person is more intelligent than an animal, as animals are close to the ground, which is more humid and they eat more moisturized food.

This opinion is very similar to the thought expressed in the 'clouds' by Aristophanes in the lines 227-233, when Socrates is in the clouds, far away from the ground. However, here the thoughts are not identical: Socrates thinks that the humidity if thoughts are attracted by the earth. But Diogenes, according to Theophrastos, considered the humidity of the ground as harmful for the mind. Nevertheless, it is a fact that both of them are the versions of the same theory.

It is apparent that scientific doctrines of 'the world of thoughts' is not Aristophanes' comic invention. They include the theories, though in a wrong way, which are attributed to Anaxagoras, Hipon or Diogenes.

When Strepsiades enters the world of thoughts, he has the feeling, like he entered into the cave and as he starts getting education, his ignorance makes Socrates irritated. The first lesson is Grammar and about the meter, which is the introduction lesson of rhetoric. Afterwards, Socrates, like a psychiatrist, asks Strepsiades to settle in the couch comfortably and think about the problems. But his thoughts are absurd and inane. As it seems he can't remember what he is taught. Hence, Socrates is no longer eager to teach anything to him. Stepsiades asks his son to go to Socrates and learn anything about sophistic wisdom. This

time he manages to persuade him. Fidipes turned out to be a good student and perceives Socrate's teaching very well.

In the 'Clouds' Aristophanes pays attention to scientific subject, such as Astronomy, Meteorology, Science, Natura Studies etc. He neglects the God and creates a new religion, he is an expert in rhetoric, especially, in introducing weak arguments in a confident way.

Socrates knew contemporary Athenian society very well and that's why he chose Socrates and his personality as a savvy, intelligent person and attributed all thoughts to him. For Aristophanes it did not make any difference if all these ideas were not by Socrates, but different philosophers. The character of Socrates is generalized figure of a wise man (Hunter 2004:43-97). A lot of ideas are created by Aristophanes himself, as he wanted the comedy to have the form of 'philosophical document' (Waterfield 2000:243).

In conclusion, as it has been demonstrated above, Aristophanes' comedy 'Clouds' proposes a lot of philosophical ideas in a satirized form that make readers laugh. In the process of presenting arguments in a solid way the main weapon for the characters of Aristophanes' comedies becomes sophistsic thinking. Though inadequate education makes them hilarious. This creates comic effect and we can say that satirizing philosophical ideas becomes coordinating feature for this comedy.